დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 7

ქ. დმანისი 30 ივლისი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. მურაზი აბრამიშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. შალვა ღამბარაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. გამლეტ ისმაილოვი
11. შახინ კოიალოვი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. გუმბათ იუსუბოვი
18. გუსეინ ისმაილოვი
19. თორნიკე ნინიაშვილი
20. კახა დევნოზაშვილი
21. კახა ოქრიაშვილი
22. შახინ გასანოვი
23. მერაბი ფოლადიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში სალომე ბერუაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 15

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**ს. ბერუაშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოსათვის'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ,,სქაიტელისათვის''(გარე განათების ბოძების ნაწილი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 „„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 220,5 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 220,5 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

2) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1032 „დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 2 ივლისის #932 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების შესაბამისად განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

   - 02_01_02 ორგანიზაციული კოდი „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირედეს 54,0 ათასი ლარით და

აღნიშნული მუხლი ნაცვლად 5.655,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 5.601,1 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

- 02_02_02 ორგანიზაციული კოდი „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 115,1 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 145,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 30,6 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- 02_06 ორგანიზაციული კოდი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირედეს 6,7 (3,4+3,3) ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 683,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 676,4 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

ზემოთ აღნიშნული თანხები, ჯამში 175,8 ათასი ლარის ოდენობით გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში, რომელიც ნაცვლად 145,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 206,4 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

3) ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მეგი ედიბერიძის 2024 წლის 23 ივლისის #02-1082420517 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე 100,0 ათასი ლარით შემცირდეს ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნას 06_02_03 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა - ოპერაციის ხარჯები“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 500,0 ათასი ლარისა, განისაზღვროს 600,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

4) ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მეგი ედიბერიძის 2024 წლის 25 ივლისის #02-108242074 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 06_02_01 „ავადმყოფთა სოციალური დაცვა“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი გაიზარდოს 50,0 ათასი ლარით - „სხვა შემოსავლები“-ს, „რენტა“-ს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა“-ს მუხლში ჭარბი შემოსავლებიდან გამომდინარე (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

5) ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მეგი ედიბერიძის 2024 წლის 26 ივლისის #02-108242082 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 06_02_01 „ავადმყოფთა სოციალური დაცვა“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლიდან 5,0 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „სხვა ხარჯები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 5,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

6) ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის დირექტორის დავით ჩხვიმიანის 2024 წლის 22 ივლისის #29-10824 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_01_01 ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“ „სუბსიდია“-ს მუხლიდან „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში გადატანილ იქნას 5,3 ათასი ლარი და

აღნიშნული მუხლი ნაცვლად 4,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 10,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **31 802,9** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : სალომე ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული წესი ადგენს ერთიან სტანდარტს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის. მსუბუქი ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების განაწილებისას, ახდენს ავტომობილების კლასიფიკაციასა და კლასების განაწილებას, განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებსა და ზღვრული ფლობის ღირებულებას. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ეთხოვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი „დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტით, მტკიცდება:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) კლასების განაწილება, მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება დანართი №2-ის შესაბამისად.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ან შემოსავლებზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს

პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 23

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის ზრდას და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებითა და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის განხორციელებით.

მოქალაქეთა მონაწილეობა ერთ-ერთი პრიორიტეტულ საკითხად არის აღიარებული რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მიღებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2025 დოკუმენტში.

დმანისის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ნორმატიული აქტით მხარს უჭერს მონაწილეობითი მიდგომების დანერგვა-გაუმჯობესებას ადგილობრივ დონეზე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ბიუჯეტში ცალკე პროგრამის სახით გამოიყო მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდამჭერი პროგრამა, რაც ახალი პრაქტიკაა მუნიციპალიტეტისთვის.

მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელს განხორციელდა ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასება. იგი კომპლექსურია და გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ თვითშეფასებას ელექტრონული კითხვარის საშუალებით (www.ppmeter.ge), ასევე დაინტერესებული მხარეების შეფასებას ფოკუს ჯგუფის საშუალებით. აღნიშნული პროცესის შედეგად ვლინდება მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი პროცესების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი.

თვითშეფასების ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა მხარემ (მათ შორის: სამოქალაქო საზოგადოების/სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აქტივისტებმა/აქტიურმა მოქალაქეებმა და სათათბირო საბჭოს წევრებმა).

თვითშეფასების შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო მექანიზმები დანერგილია, თუმცა მათი გამოყენება პასიურია და მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობას ნაკლებად უზრუნველყოფს. დამატებითი მექანიზმები მუნიციპალიტეტში თითქმის არ გვხვდება. ამასთანავე, მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა მოქალაქეთა ცნობიერების დონე და მათი ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი. გარდა ამისა, აუცილებელ საკითხად გამოვლინდა საჯარო მოხელეთა გაძლიერება მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით.

აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ, პარტნიორების მხარდაჭერით შემუშავდა მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 5 ამოცანა და შესაბამისი ქვე-აქტივობები, განმახორციელებელი უწყებები, შედეგების შეფასების ინდიკატორები, დადასტურების წყაროები და აქტივობების ბიუჯეტი.

ამოცანა 1: მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება (საჯარო ინფორმაციის მომზადებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება; LSG ინდექსის სტანდარტების გაანალიზება და გამოწვევების იდენტიფიცირება);

ამოცანა 2: მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება (საკრებულოს გასვლითი სხდომების, ელექტრონული პეტიციის და უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა; მოსახლეობის გამოკითხვა სოციალური ქსელის/ვებ-გვერდის საშუალებით; სათათბირო საბჭოების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება; მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დანერგვა;

საშუალო ვადიანი სტრატეგიის შემუშავებისას საკონსულტაციო პროცესის წარმართვის ინსტრუქციის შემუშავება);

ამოცანა 3: მოქალაქეთა ცნობიერების და მოტივაციის ამაღლება (მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების თანამშრომლობის წარმატებული მაგალითების გაშუქება; იდეების კონკურსის დანერგვა ქალების/ახალგაზრდების წახალისების მიზნით; ახალგაზრდების წახალისება; ვიდეო რგოლების მომზადება ცნობიერების ასამაღლებლად; აქტიური მოქალაქეების დაჯილდოება; ბიუჯეტის გამარტივებული გზამკვლევის შემუშავება; მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა);

ამოცანა 4: მუნიციპალიტეტში ანგარიშგების პრაქტიკის გაუმჯობესება (მერის და საკრებულოს წევრების ანგარიშის მომზადებისა და ანგარიშების საჯარო განხილვების პროცესის გაუმჯობესება);

ამოცანა 5: მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება (მონაწილეობითი პროცესების მხარდამჭერი მოხელეების შიდა წახალისების მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა; მონაწილეობის შესახებ კარგი პრაქტიკების გაზიარება საჯარო მოხელეებს შორის).

მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება 6 თვეში ერთხელ, რაც გულისხმობს გაწერილი საქმიანობების განხორციელების, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას, დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით. მონიტორინგს განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ შესაბამისი
პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოსათვის'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად საჭიროა, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქუჩა №41-ში მდებარე შენობის (ს.კ.82.01.42.021) პირველ სართულზე მდებარე 37,23 კვ.მ, არასაცხოვრებელი ფართი, ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს''.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ,,სქაიტელისათვის''(გარე განათების ბოძების ნაწილი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, საჭიროა მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ,,სქაიტელს'', მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე გარე განათების 147 ცალ ბოძზე მიწის ზედაპირიდან 5 მეტრის სიმაღლეზე, ბოძის ნაწილი (წერტილი), ოპტიკურ-ბოჭკოვნი ინტერნეტის მიწოდება-მომსახურების მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, საიჯარო ღირებულებით 588 (ხუთასოთხმოცდარვა) ლარი.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა , თორნიკე ნინიაშვილმა .

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი